ევროპის დროით

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

ნოემბერი 2011 N11 (33)

ლიზეკი: “ჩვენ ვხედავთ საქართველოს, როგორც ევროპულ სახელმწიფოს”

2011 წლის 17 ნოემბერს ევროპარლამენტმა ხმათა უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია სახელწოდებით „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მიმდინარე მოლაპარაკებების თაობაზე ევროპარლამენტის რეკომენდაციები ევროკავშირის საბჭოს, ევროკომისიისა და საგარეო ქმედებათა ევროპული სამსახურის მიმართ”.

საქართველოს საკითხზე მიღებული ევროპარლამენტის რეზოლუცია მოიცავს ქვეყნის მხარდამჭერ რიგ უმნიშვნელოვანეს გზავნილებს/ რეკომენდაციებს, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ევროპარლამენტი დეფაქტო სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს აღიარებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებად და ევროკავშირის საბჭოს, ევროკომისიასა და ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახურს(European External Action Service EEAS) ამავე აღიარების რეკომენდაციით მიმართავს.

ამავე დროს რეზოლუცია აღიარებს საქართველოს „ევროპულ სახელმწიფოდ“ და მის მისწრაფებებს ევროკავშრისადმი, მათ შორის მათ, რაც ევროკავშირის დამფუძნებელი შეთანხმების 49–ე მუხლს ეყრდნობა და მიმდინარე მოლაპარაკებებს ევროპულ პერსპექტივაზე აფუძნებს, შესაბამისად, 17 ნოემბერს მიღებულ რეზოლუციაში იკვეთება საქართველოს ევროკავშირის წევრობის პერსპექტივა.

რეზოლუციაში ასევე ნათქვამია, რომ რუსეთი კვლავ აგრძელებს საქართველოს აღნიშნული რეგიონების ოკუპაციას, რაც წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ძირითადი ნორმებისა და პრინციპების დარღვევას; რომ ადგილი ჰქონდა ეთნიკურ წმენდასა და დემოგრაფიული სურათის იძულებით ცვლილებას იმ ტერიტორიებზე, რომლებიც იმყოფება ოკუპანტი ძალის ეფექტური კონტროლის ქვეშ და რომ სწორედ ეს ოკუპანტი ძალა არის პასუხისმგებელი ადამიანის უფლებათა დარღვევებზე საქართველოს ამ რეგიონებში.

ევროპარლამენტი მოუწოდებს ევროკავშირს ინტენსიური მოლაპარაკებები აწარმოოს რუსეთის ფედერაციასთან, რათა უზრუნველყოს ამ უკანასკნელის მიერ 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებით აღებული ყველა ვალდებულების უპირობოდ შესრულება, განსაკუთრებით კი ევროკავშირის მონიტორინგის მისიის შეუზღუდავი დაშვება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

ევროპარლამენტი მოუწოდებს რუსეთს უკან გაიწვიოს საქართველოს დეფაქტო რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარება (რეზოლუციის ტექსტში: “reverse its recognition of the separation”), შეწყვიტოს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და პატივი სცეს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, ასევე ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობას.

რეზოლუციის ტექსტი ეფუძნება, ევროპის სახალხო პარტიიდან პოლონელი დეპუტატის, ევროპის პარლამენტის საქართველოს საკითხებზე მომხსენებლის კრშიშტოფ ლიზეკის მოხსენებას.

საქართველოს პარლამენტში საგარეო ურთიერთობათა და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას კრშიშტოფ ლიზეკმა აღნიშნა, რომ მისი ჩამოსვლა საქართველოში ევროპარლამენტში რეზოლუციისათვის ერთწლიანი მუშაობის თავისებური შეჯამებაა.

„ეს რეზოლუცია არის თითქმის მთელი ევროპარლამენტის მნიშვნელოვანი ხმა. ჩვენ ვხედავთ საქართველოს როგორც ევროპულ სახელმწიფოს; ჩვენ ვხედავთ საქართველოს როგორც სახელმწიფოს, როგორც ქვეყანას, რომელიც ყველა ევროპულ ღირებულებას და პრინციპს წარმოაჩენს, მათ შორის დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებს“ ლიზეკმა აღნიშნა რომ “საქართველომ განვითარების სწორი გზი აიღო. აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსი ქვეყნიდან საქართველო ერთ–ერთ ყველაზე წარმატებულ პარტნიორია, რომელიც წარმატებულად ახორციელებს რეფორმებს “.

ქართველი პარლამენტარების განცხადებით, ევროპარლამენტის რეზოლუცია საქართველოს და მისი ტერიტორიული მთლიანობის უდიდესი მხარდაჭერის გამოვლინებაა. “ამით ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ჩვენი ქვეყნის დეოკუპაციისაკენ. ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ევროპარლამენტი მიესალმება იმ მნიშვნელოვან პროგრესს, რომელსაც საქართველომ მიაღწია ქეყანაში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების კუთხით”, – განაცხადა ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ დავით დარჩიაშვილმა და საქართველოს პარლამენტის წევრების სახელით მადლობა გადაუხადა კრშიშტოფ ლიზეკს, ევროპარლამენტის წევრებს, ვინც მხარი დაუჭირა ქვეყნისათვის ამ უმნიშვნელოვანეს და ისტორიულ რეზოლუციას,

რეზოლუციის მიღების შემდეგ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კრშიშტოფ ლიზეკთან საუბრისას განაცხადა: „ეს დოკუმენტი ნამდვილად ატარებს ისტორიულ ხასიათს“....

ჩვენმა ერმა ძალიან კარგად იცის მადლობის თქმა. ეს არის ის შემთხვევა, როდესაც უნდა თქვენ გითხრათ განსაკუთრებული მადლობა. რა თქმა უნდა, ეს მადლობა ასევე ეკუთვნის მთელ ევროპარლამენტს. ამ შემთხვევაში თქვენ წარმოადგენთ ამ ორგანოს აქ.“

საქართველოში ოფიციალური ვიზიტის დასასრულს პრეზიდენტმა სააკაშვილმა ევროპარლამენტის წევრი კრშიშტოფ ლიზეკი წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენით დააჯილდოვა.

საკონტაქტო ინფორმაცია:
საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი
საქართველო, თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი 8
ტელ.: (995 32) 2 28 17 08; (995 32) 2 28 13 92
ელ-ფოსტა: europa@parliament.ge

ევროკავშირის საინფორმაციო და დოკუმენტაციის ცენტრი
საქართველო, თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი 8
საქართველოს პარლამენტი, C კორპუსი, ოთახი 126
ტელ.: (995 32) 2 28 13 29
ელ-ფოსტა: euinfocentre@parliament.ge

ნოემბრის დაიჯესტი

ჩინეთი და ინდოეთი ევროკავშირისათვის დახმარებაზე უარს აცხადებენ

3 ნოემბერს კანში გამართულ დიდი ოცეულის სამიტზე ჩინეთმა და ინდოეთმა ევროკავშირისთვის ფინანსური დახმარების გაწევაზე უარი განაცხადეს.
ჩინეთის პრეზიდენტმა, ჰუ ჯინტაომ. საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზისთან საუბარში განაცხადა: "ევროპის სუვერენული ვალის კრიზისის დაძლევა ევროკავშირის საქმეა... გვჯერა, რომ ევროპას შესწევს საკმარისი სიბრძნე და შესაძლებლობა კრიზისის აღმოსაფხვრელად".
სარკოზის მიერ აზიისთვის დახმარების თხოვნას მოჰყვა საფრანგეთში მემარცხენე ცენტრისტი პოლიტიკოსების დიდი უკმაყოფილება: "ჩინელებისთვის მიმართვით ევროპელებმა თავიანთი სისუსტე აჩვენეს" – განაცხადა სოციალისტური პარტიის თავმჯდომარემ მარტინ ობრიმ.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი იტალიას ზედამხედველობას გაუწევს

კანში გამართული დიდი ოცეულის სამიტის დროს იტალია დათანხმდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ყოველ სამ თვეში ერთხელ იმის შემოწმებას, თუ როგორ ხორციელდება საპენსიო და შრომითი ბაზრების რეფორმები და პრივატიზაციის პროცესი.
ამ გადაწყვეტილების მიზანი



წყარო: www.france24.com

იტალიისთვის, როგორც ევროზონის სიდიდით მე-3 ეკონომიკისთვის, საბაზრო ნდობის აღდგენაა.
იტალიური მედიის ცნობით, საერთაშორისო სავალუტო ფონდი მზადაა, გამოუყოს იტალიას 44 მილიონი ევრო. რომი ამ შეთავაზებაზე უარს ამბობს. იმ შემთხვევაში თუ რომმა გადაწყვეტილება არ შეცვალა, ევროპის ფინანსური სტაბილურობის ფონდის სანდოობას საფრთხე დაემუქრება, რადგან ფონდის დაფინანსების 1 ტრილიონ ევრომდე გაზრდის მიზანი იყო იტალიისა და სხვა მსხვილი ეკონომიკების მიერ საკუთარი ვალების გასტუმრება.

ევროკავშირის ბიუჯეტი მხოლოდ 2%-ით გაიზრდება

ევროკავშირმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ დაგეგმილი 5 %-იანი ზრდის ნაცვლად, შემდეგი წლის ბიუჯეტი მხოლოდ 2%-ით გაზარდოს.
ევროკომისია ითხოვდა ბიუჯეტის გაზრდას 4.9%-ით, ხოლო ევროპარლამენტი – 5.2%-ით.
15 საათიანი მოლაპარაკების შემდეგ მისაღები ვარიანტი ბიუჯეტის 2%-იანი ზრდა აღმოჩდნა.
დიდი ბრიტანეთის მთავრობამ აღნიშნა, რომ მისთვის მსაღებია მიღწეული შეთანხმება. "ჩვენ შევაჩერეთ ევროკომისიისა და ევროპარლამენტის ინფლაციის გამომწვევი შემოთავაზებები და გავიზიარეთ მთავრობების დაპირება ევროკავშირის ბიუჯეტის რეალისტურ ზრდის შესახებ" – განაცხადა ბრიტანეთის საფინანსო მდივანმა მარკ ჰობანმა.

საპროტესტო აქციები ლონდონში

9 ნოემბერს ლონდონის ქუჩებში 10 ათასი ადამიანი გამოვიდა სწავლის გაძვირების წინააღმდეგ პროტესტის გამოსახატად. ზოგიერთ სასწავლებელში გადასასახდი თითქმის გასამმაგდა, ხოლო ცალკეულ

წყარო: www.coalitionofresistance.org.uk

საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული ფინანსური პრობლემების ფონზე შესაძლოა სასწავლო კურსები შემცირდეს. მთავრობის მტკიცებით, ეს სიახლეები ხელს შეუწყობს უფრო კონკურენტუნარიანი უნივერსიტეტების გამოვლენას.
საპროტესტო მსვლელობას თვალყურს ადევნებდნენ მრავალრიცხოვანი პოლიციური ძალები, რაც ალბათ წინა წელს მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით მოხდა, როცა სტუდენტური პროტესტი ძალადობაში გადაიზარდა და დიდი ლონდონის საქალაქო პოლიციის სამსახურმა მკაცრი კრიტიკა დაიმსახურა.

ამაიური ესპანეთის პარლამენტში ხვდება

ესპანეთის ჩრდილოეთ ბასკეთის მხარის რამდენიმე პარტიისგან შემდგარმა მემარცხენე ნაციონალისტების კოალიცია ამაიურმა 7 ადგილი მიიღო ქვეყნის პარლამენტში, სადაც მათ ხმის უფლება ბოლოს 15 წლის წინ ჰქონდათ.
ესპანეთის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ეს არჩევნები იყო პირველი საკანონმდებლო არჩევნები, რომელმაც ეტას თავდასხმების გარეშე ჩაიარა.
2002 წელს ესპანეთის პარლამენტმა ბასკების დამოუკიდებელი პარტიის ბატასუნას გაუქმებას დაუჭირა მხარი იმ მოსაზრებით, რომ აღნიშნული პარტია აფინანსებდა შეირაღებულ დაჯგფება ეტას. ამ დროიდან ბასკების ეროვნულმა პოლიტიკამ ბევრი სირთულე გამოიარა, თუმცა ნაციონალისტების მხარდამჭერი განწყობა მაინც შენარჩუნდა.

ევროკავშირის ახალი სანქციები ირანის წინააღმდეგ

ევროკავშირი აპირებს ირანის საიდუმლო ბირთვული პროგრამის საპასუხოდ ამ ქვეყნის წინააღმდეგ დამატებითი სანქციები შემოიღოს. 24 ნოემბერს ევროკავშირის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები შეთანხმდნენ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებულ დეტალებს 1 დეკემბერს ბრიუსელში დაგეგმილ შეხვედარაზე განიხილავენ.
21 ნოემბერს დიდი ბრიტანეთის ბანკებმა გააუქმეს ფინანსური კავშირები ირანთან, მათ შორის ირანის ცენტრალურ ბანკთან. ამ დროისთვის ირანზე სანქციები დაწესებული აქვს გაეროს, ევროკავშირს, აშშ-სა და იაპონიას.
საფრანგეთის სურვილია, ევროკავშირმა გაყინოს ირანის ცენტრალური ბანკის ყველა ანგარიში და გააუქმოს მასთან სანავთობო მოლაპარაკება. ევროკავშირის სხვა ქვეყნები თავს იკავებენ მკვეთრი განცხადებებისგან.

გამოყენებული წყაროები:

http://eeas.europa.eu/delegations/georgia/index_en.htm

www.euractiv.com; www.euobserver.com; mfa.gov.ge

www.europeanvoice.com

საინტერესოა:

ევროპარლამენტარები ქსელურ აზარტულ თამაშებზე საერთო მიდგომას ითხოვენ

ნყარო: www.blog.iesve.com

15 ნოემბერს ევროპარლამენტმა თხოვნით მიმართა ევროკომისიას, დაიცვას მომხმარებელთა ინტერესები და შეიმუშავოს სამართლებრივი მიდგომა ქსელური აზარტული თამაშების მიმართ, კერძოდ, დანერგოს საერთო სტანდარტები და ჩარჩო დირექტივები.
კანონმდებლებს მიაჩნიათ, რომ ისეთ სფეროებში, როგორიცაა არალეგალური ქსელური თამაშები და ბავშვებისა და მოზარდების ამ თამაშებზე დამოკიდებულება, აუცილებელია საერთო ევროპული თანამშრომლობა.
ევროპარლამენტარების რეკომენდაციის მიხედვით, უნდა მოხდეს ისეთი სადაზღვევო ლიცენზიის შემოღება, რომელიც უზრუნველჰყოფს ქსელური აზარტული თამაშების მოყვარულების უსაფრთხოებას და ასეთი თამაშების პროვაიდერების შესაბამისობას ევროკავშირის წევრი ქვეყნის მიერ დაწესებულ სტანდარტებთან.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ:
http://www.euractiv.com/innovation-enterprise/crisis-increases-need-good-education-oecd-news-507595

ევრობიბლიოთეკა

ევროპის თემაზე გამოცემული უახლესი ლიტერატურა

Ben Patterson
The Conservative Party and Europe
გამომცემელი: John Harper Publishing
ენა: ინგლისური

Alan Hardacre
How the EU Institutions Work and... How to Work with the EU Institutions
გამომცემელი: John Harper Publishing
ენა: ინგლისური

András Baneth
The Ultimate EU Test Book – Administrator edition 2012
გამომცემელი: John Harper
ენა: ინგლისური

András Baneth
The Ultimate EU Test Book – Assistant edition 2012
გამომცემელი: John Harper
ენა: ინგლისური

წიგნების ელექტრონული ვერსია შეგიძლია იხილოთ ვებ–გვერდზე :
www.eubookshop.com

ევროსტატისტიკა

ევროკავშირის შრომითი ბაზარი

გასულ თვეში ევროკავშირის სტატისტიკურმა ოფისმა გამოაქვეყნა შრომითი ბაზრის ანალიზის შედეგები. კვლევა მოიცავდა სამ ძირითად საკითხს: 1. პირები რომელებიც არასრულად არიან დასაქმებულნი, 2. პირები, რომლებიც ეძებენ სამუშაოს, მაგრამ ვერ ახერხებენ უახლოეს 2 კვირაში სამსახურის პოვნას და 3. პირები, რომელთაც შეუძლიათ უახლეს 2 კვირაში მუშაობის დაწყება, მაგრამ არ ეძებენ სამუშაოს. ბოლო ორ ჯგუფში შემავალი პირები შეადგენენ პოტენციურ დამატებით სამუშაო ძალას.

როგორც გაირკვა, 2010 წელს ევროგაერთიანებაში დაახლოებით 41.3 მილიონი ადამიანი არასრულ განაკვეთზე მუშაობდა და მათგან 75%-ს ქალები შეადგენდნენ.
არასრულ განაკვეთზე მომუშავეთაგან 8.5 მილიონ მოქალაქეს, ანუ მათი საერთო რიცხვის დაახლოებით 21%-ს, სურდა და შეეძლო ემუშავა უფრო მეტი დატვირთვით და, შესაბამისად, ისინი ანალიზის თანახმად, არასრულად დასაქმებულთა რიცხვს განეკუთვნებიან. ევროზონის 17 ქვეყნის მონაცემების მიხედვით კი ეს რიცხვი 5.8 მილიონს უტოლდება. სრული განაკვეთით მუშაობის სურვილი ყველაზე მეტად გამოთქვეს ლატვიაში (65%), საბერძნეთში (49%), ესპანეთში (46%), ბულგარეთსა (39%) და სლოვაკეთში (38), ხოლო ნაკლებად - ჰოლანდიაში (3%), სადაც არასრულ განაკვეთზე მუშაობა ძალიან გავრცელებულია, ბელგიაში (45%), ჩეხეთსა (10%) და ლუქსემბურგში (10%). კვლევა ჩატარდა აგრეთვე ევროკავშირის არაწევრ 5 ქვეყანაში, სადაც ეს მონაცემები ასე განაწილდა: იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა მაკედონია (36%), ხორვატია (29%), თურქეთი (17%), შვეიცარია (16%), ნორვეგია (11%)

2010 წლის მონაცემებით 15-74 წლის ეკონომიკურად არააქტიურ მოსახლეობას შორის 8.2 მილიონს შეეძლო სამუშაოს დაწყება, მაგრამ არ ეძებდა მას, ხოლო 2.4 კი ეძებდა, მაგარამ უახლოეს პერიოდში ვერ დაიწყებდა მუშაობას. როგორც შედეგებიდან გაირკვა, ყველაზე მეტად სამუშაოს დაწყება შეეძლოთ, მაგრამ არ ეძებდნენ იტალიაში (2.8 მლნ), ხოლო ნაკლებად - კვიპროსში (9000). ამავე დროს სამუშაოს მაძიებელთა ყველაზე დიდი რიცხვი იყო გერმანიაში (0.6 მლნ), ხოლო ყველაზე მცირე - ესტონეთსა (2000) და ლუქსემბურგში (2000). საერთო ჯამში ამ ორი კატეგორიის მუშახელი ჰქმნიდა პოტენციურ დამატებით სამუშაო ძალას, რომელიც ევროკავშირის საერთო სამუშაო ბაზრის 4.5% შეადგენს.

წყარო:www.telegraph.co.uk

კემბრიჯის კოლეჯის სამეცნიერო პროექტი

კემბრიჯის უნივერსიტეტი ღია საზოგადოების ფონდებთან ერთად იწვევს ცენტრალური, აღმოსავლეთ ევროპის და ყოფილი საბჭოთა კავშირის, მათ შორის საქართველოს მოქალაქეებს კემბრიჯის კოლეჯების სამეცნიერო პროექტში მონაწილეობის მისაღებად.
პროგრამა გთავაზობთ სტაჟირებას კემბრიჯის უნივერსიტეტის ერთ-ერთ კოლეჯში ერთი თვის ვადით ძირითადად ზაფხულის პერიოდში (ივლისი-სექტემბერი).
პროგრამის მონაწილეები, როგორც წესი, უნდა იყვნენ უნივერსიტეტის პედაგოგები ან კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომლები, რომელთაც აქვთ სადოქტორო ხარისხი და სურთ, იმუშაონ კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, კონსულტაციები მიიღონ და სამეცნიერო და აკადემიური კავშირები დაამყარონ იქაურ სპეციალისტებთან.
უპირატესობა მიენიჭება მათ, ვინც მუშაობს ისეთ სპეციფიკურ პროექტზე, როგორიც არის წიგნი ან ახალი სალექციო კურსი და ასევე მათ, ვისაც არ ჰქონია უცხოეთში სწავლის შესაძლებლობა.
პროგრამაში მონაწილეობის მსურველები კარგად უნდა ფლობდნენ ინგლისურ ენას. ის აპლიკანტები, რომლებიც ორ თვეზე მეტი ხნის ვადით ნამყოფი არიან ან გეგმავენ გამგზავრებას უცხოეთში 2011 წლის 1 აპრილიდან კემბრიჯში გამგზავრების სავარაუდო თარიღამდე, პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად არ დაიშვებიან. ასევე, არ დაიშვებიან ის აპლიკანტები, რომლებმაც წინა წლებში ისარგებლეს ამ გრანტით.
განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2011 წლის 12 დეკემბერი.
დამატებითი ინფორმაცია კემბრიჯის უნივერსიტეტების დეპარტამენტებისა და ფაკულტეტების შესახებ შეგიძლიათ შეიტყოთ კემბრიჯის უნივერსიტეტის ვებ გვერდზე: http://www.cam.ac.uk/
საგანაცხადო ფორმებისათვის გთხოვთ, მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე ან იხილოთ ვებ გვერდი: http://www.cie.ge
საერთაშორისო განათლების ცენტრი
თბილისი, ჭოველიძის 10
საკონტაქტო ტელეფონი: 2 25 26 15.

ბერლინის სამხარეო პარლამენტის სტიპენდიები სტუდენტებისა და ახალგაზრდა მკვლევრებისთვის

სტიპენდია განკუთვნილია ბერლინთან და ზოგადად გერმანიასთან დაკავშირებული საკითხების მკვლევართათვის. აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების წარმომადგენლებს საშუალება ეძლევათ, ისწავლონ და განახორციელონ კვლევა გერმანიაში.
პროგრამის პარტნიორები არიან ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი, ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი და ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტი.
კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ახალგაზრდა მეცნიერებს, რომლებსაც მოპოვებული აქვთ მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი და აქტიურად არიან ჩართული სამეცნიერო საქმიანობაში.
სტუდენტებისათვის მინიმალური ასაკი არის 25 წელი, დოქტორის ხარისხის მქონე მეცნიერთათვის კი - 35 წელი.
სტუდენტებისთვის ყოველთვიური სტიპენდია შეადგენს საშუალოდ 770 ევროს, მეცნიერებისთვის კი - 1300 ევროს. მათ დამატებით აუნაზღაურდებათ მგზავრობისა და საცხოვრებლის ხარჯები.
პროგრამის ხანგრძლივობაა ერთი აკადემიური წელი - 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.
განაცხადისთვის კანდიდატებმა გერმანულ ენაზე უნდა წარადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- შევსებული სააპლიკაციო ფორმა;
- ტაბელარული ბიოგრაფია ფოტოსურათთან ერთად;
- დაგეგმილი კვლევის დეტალური აღწერა;
- ბერლინის უნივერსიტეტთან ან კვლევით დაწესებულებასთან (რომელშიც დაგეგმილია კვლევის განხორციელება) კონტაქტის დამადასტურებელი კორესპონდენციის ასლი;
- ორი სარეკომენდაციო წერილი პროფესორებისგან, რომლებსაც შეუძლიათ კანდიდატის სამეცნიერო უნარ-ჩვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- სკოლის ატესტატის ასლი (ნიშნების ფურცელთან ერთად);
- დიპლომის ასლი (ნიშნების ფურცელთან ერთად);
- გერმანული ენის ცოდნის დამადასტურებელი მოწმობა.

ნიშნების ფურცლებს სასურველია, თან დაერთოს შეფასების სისტემის ახსნა-განმარტება.
ოფიციალური დოკუმენტები უნდა ითარგმნოს ინგლისურ ან გერმანულ ენებზე და დამოწმდეს ნოტარიულად.
განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 15 დეკემბერი, 2011 წელი.

ჯონ სმითის სახელობის ფონდის სტიპენდიები

ჯონ სმითის სახელობის ფონდი აცხადებს კონკურსს ჯონ სმითის 2012 წლის სტიპენდიის მოსაპოვებლად.
სააპლიკაციო პროცესის შესახებ ინფორმაციას გაწვდით ბრიტანეთის საბჭო. კონკურსს ადმინისტრირებას უწევს ჯონ სმითის სახელობის ფონდი ლონდონში.
პროგრამის ხანგრძლივობა: სამი (3) კვირა (2012 წლის 9 ივნისიდან 29 ივნისამდე).
კანდიდატის ასაკი: 25 – 40 წელი.
პროგრამაში მონაწილეობის მსურველი კანდიდატი უნდა მუშაობდეს პოლიტიკური ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოში ან იყოს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი და ჰქონდეს გამოცდილება მართვის სფეროში. სავალდებულოა ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა (წერა/ზეპირი).
სტიპენდიაზე განაცხადის შეტანა შეუძლიათ შემდეგი ქვეყნების წარმომადგენლებს:

- სომხეთი;
- აზერბაიჯანი;
- საქართველო;
- ყირგიზეთი;
- მოლდავეთი;
- რუსეთი;
- უკრაინა.

ჯონ სმითის სტიპენდიის პროგრამა მოიცავს შემდეგ სფეროებს:

- ლიდერობის სტილი და პრაქტიკა;
- მოქალაქეობა, კანონი და უფლებები;
- სამოქალაქო საზოგადოება და საზოგადოებრივი აზრი;
- საჯარო პასუხისმგებლობა მთავრობაში, ბიზნესსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

2011 წლის ჯონ სმითის პროგრამის სააპლიკაციო ფორმები უნდა გადაეგზავნოს ჯონ სმითის სახელობის ფონდს ლონდონში.
ზემოთ ჩამოთვლილი სასწავლო სტიპენდიების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ შემდეგი ვებგვერდი www.iliauni.edu.ge ან მიმართეთ ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის სტუდენტურ სერვის ცენტრს – თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 32, ოთახი N 219–220, ტელ.: (832) 229 47 11

ნომერზე მუშაობდნენ:
ირინე ცერცვაძე, თეა ტარიელაშვილი, მარიკა კაჭარავა , თამარ ჭელიძე.

"ევროპის დროით"
ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ www.parliament.ge/ ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი